



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

29

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

EDITORIAL BOARD

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Iliia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidze (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

შინაარსი

ობარ ოთხმეზური	
ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისა – ეგრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)	10
ნინო მელიქიშვილი	
წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ	26
ემვთიმე კოჭლამაზაშვილი	
ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი	53
ნუზარ პაპუაშვილი	
ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვლადაკვალ	73
ლაშა ტყეშელაშვილი	
ევაგრე პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდაღბუაობისათვის“	109
ოქო ჯოჯო	
ძველი გაფაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმშენებლო წარწერა კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით	128
ცისანა ბიბილიშვილი	
სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)	164
EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI	
A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging	175
WALKER R. THOMPSON	
Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion	205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

CONTENTS

THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltsikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

INFORMATION

- Chronicle – 2022 257
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze

271

Eter Kavtaradze (1937-2023)

279

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

გიმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსა	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სჭიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

სახლი ბეთანიაში

(ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)¹

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ფრანგულ-შვედური წარმომავლობის რუსი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის (1821-1899) პირადი არქივი, რომელიც თავისი ძმის, ლეონტი ნიკოლაისადმი მიწერილ რამდენიმე ასეულ ფრანგულენოვან წერილსაც შეიცავს. წერილების კალიგრაფია ძალიან ლამაზი, მაგრამ საკმაოდ ძნელად ამოსაკითხია. ჩვენ ვთარგმნეთ და შევისწავლეთ 1849-1862 წწ. მიწერილი სამასამდე წერილი, რომლებშიც არაერთი საინტერესო თემა იკვეთება საქართველოს, და არა მხოლოდ საქართველოს, ისტორიიდან.² მათ შორისაა ბარონ ალ. ნიკოლაის ბეთანიის სახლის ისტორია.

¹ ბარონ ნიკოლაის პირადი არქივი დამუშავების პროცესშია, ამიტომ ალ. ნიკოლაის წერილებიდან მოყვანილ ციტატებთან ვუთითებთ წერილის დაწერის თარიღს, თუ ცნობილია, ადგილს, სქოლიოში კი – წერილის ნომერს დაწერის წლის მიხედვით. მადლობას ვუხდით ვლადიმერ (ბაჩო) კეკელიას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ვინც დამეხმარა ბარონ ნიკოლაის წერილების დალაგებასა და დანომვრაში.

² ამის შესახებ იხ. ც. ბიბლიოჰილის სტატიები: „ბარონ ნიკოლაის წერილები ლეონტი ნიკოლაისადმი“, *მრავართავი*, XIX (2001), გვ. 363-365; „ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის რამდენიმე წერილი თავისი ძმის, ლეონტი პავლეს-ძე ნიკოლაისადმი“, *მრავართავი*, XX (2003), გვ. 323-333; „ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ერთი წერილი თავისი ძმის, ლეონტი ნიკოლაისადმი“, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 1 (2004), გვ. 35-41; „შამილის ტყვე ქალები“, *მრავართავი*, XXI (2005), გვ. 253-261; „ნინო ჭავჭავაძის გარდაცვალება ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის წერილების მიხედვით“, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 7 (2006), გვ. 46-48; „ცნობები სოფიო ჭავჭავაძის გარდაცვალების შესახებ ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ფრანგულენოვანი არქივის მიხედვით“, *მრავართავი*, XXII (2009), გვ. 365-380; „ბავშვების წერილები“, *ქართველოლოგია*, 2 (2012), გვ. 80-101.

ბარონი ალ. ნიკოლაი 1848 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი იყო, 1852 წლიდან – კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, 1859 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, 1861 წლიდან – კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, 1862 წელს დაინიშნა განათლების მინისტრის მოადგილედ და ცენზურის მთავარი სამმართველოს უფროსად, იყო ამიერკავკასიის გლეხთა მომწყობი ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. 1875 წელს დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად, 1881-1882 წლებში კი – კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1850 წლის 24 ნოემბერს მან ცოლად შეირთო ცნობილი ქართველი მწერლის, ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო.

როგორც მისი ძმის, ლეონტი ნიკოლაისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, 1849 წლის ნოემბრამდე ალ. ნიკოლაის შეუძენია მამული ბეთანიაში: „... ბეთანიაში მებაღის სახლის საძირკველი გავჭვრით, იქ ჩემთვისაცაა ოთახი. საბოსტნე მიწა გავწმინდე, ხეხილის ბაღისაც. ახლა წყალია გასაყვანი, მაგრამ ეს დიდი სამუშაოა და 2000 ოქროს რუბ. დასჭირდება. უნდა დავიცადო. ეს მნიშვნელოვანი და ძალიან საჭირო საქმეა, მაგრამ ყველაფერს ერთად ვერ გააკეთებ. მაინც კმაყოფილი ვარ ჩემი შენაძენით. ვგიქრობ, ფული კარგად ჩავდე...“ (ტიფლისი, 27 ნოემბერი, 1849 წელი).³

მამულის მოწყობასა და სახლის მშენებლობას რამდენიმე წელი დასჭირდა. ამასობაში მოაწყო ბოსტანი, გააშენა ყვავილნარი, ხეხილი და ვაზი. მშენებლობისთვის აგურსა და კრამიტს ადგილზევე ამზადებდნენ: „... აგურის საქმე ნელა მიდის. თათარსა და ეგორს შორის აქაც განხეთქილების გაშლი ჩამოვარდა, მთავარი მიზეზი კი წვიმაა, აგური ვერ შრება. პირველ პარტიას ორშაბათ დილას, ჩემს იქ არყოფნაში მპირდებიან, თუკი მანამდე არ იწვიმებს...“ (ბორჯომი, 14 ივლისი, 1850 წელი).⁴ თუმცა, 1950 წლის ივლისის ბოლოს მოსულმა ძლიერმა წვიმამ „... მთის ნაწილი ჩამოგლიჯა სარწყავი არხის თავზე და არხი გაჭედა. ძლივს დამთავრებული აგურის გამოსაწვავი ღუმელი, რომელიც გამოსაწვავი აგურებით იყო სავსე, ჩაიშალა და მთელი აგურები დაშალა. ამას იაკობი მწერს, ეგორისგან ჯერ არაფერი მიმიღია და ვშიშობ, რომ ზარალი უფრო დიდია. ნამდვილი უბედურებაა, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძლო და ღვთისა და მომავლის იმედი იქონიო. ასეა თუ ისე, ვშიშობ, რომ მომავალი ზაფხულისთვის სახლის დასრულების იმედი აღარ უნდა მქონდეს, რაც ძალზე სამწუხარო იქნება, მაგრამ ასეა...“ (ბორჯომი, 2 აგვისტო,

³ 1849 წლის №2 წერილი.

⁴ 1850 წლის №8 წერილი.

1850 წელი).⁵ „... სახლის მშენებლობა ძალიან ნელა მიიწევს წინ. Подрядчик-ი ეგორს აბრალებს, ეგორი подрядчик-ს, ნამდვილი ლაბირინთია. ასეა თუ ისე, ახლა ფინანსურად არ ვზარალდები, რადგან დასრულებულ სამუშაოში უნდა გადავიხადო, თუმცა, შესაძლოა სახლი მომავალი ზაფხულისთვისაც არ იყოს...“ (ბეთანია, 14 ივლისი, 1850).⁶

სახლის აშენებამდე ბარონი ხშირად ჩადიოდა ბეთანიაში და იქ კარავში ცხოვრობდა. „...ექიმი დამპირდა, ხუთშაბათს გაგიშვებ, თუ იმავე დღეს დაბრუნდებიო. ბეთანიაში ღამ-ღამობით უკვე ცივა და კარავში დარჩენა წინდაუხედავი საქციელი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ვნახავ, რა კეთდება და საბოლოოდ გამოკეთებამდე განვაახლებ იქ ვიზიტებს. მანამდე კი, როგორც ჩანს, ყველაფერი თავისი რიგით მიდის. ჩემთან დამზადებული ექვსი ათასი აგური მაქვს. ეს ჯერჯერობით. ყურძენი მწიფობაში შედის და, იმედია, მალე რთველი გვექნება...“ (4 სექტემბერი, 1950).⁷

როგორც 1851 წლის 8 ივლისის წერილიდან ჩანს, მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა. ბარონმა სოფიო წინანდალში წაიყვანა, თავად კი „... აქ გასულ ორშაბათს ჩამოვედი, ხვალ ერთი კვირა ხდება [...]. კუნძულზე გარიყული რობინზონივით ვცხოვრობ და ჯერ-ჯერობით, პარასკევას ძებნას არ ვაპირებ, რადგან კვირის ყოველი დღე ერთნაირად დატვირთული მაქვს. ახლა თიბვავა, მოსაწყენი და სამძიმო საქმე, რადგან წელს ისეთი გვალვა იყო ცხელი ზაფხულის შემდეგ, რომ ბალახი გადაიხრუკა და მთლად გაყვითლდა. რასაც შემძლია, იმას ვთიბავ. მინდა საყიდელი მაინც არ მქონდეს, რადგან ესეც გართულდება. როცა საყიდელი არაფერია, ფულიც ფასს კარგავს და სიტყვის სრული მნიშვნელობით, მართლაც არაფერია ტიფლისის შემოგარენში. ეს ძალიან სამწუხაროა. [...] აქ თიბვის გარდა სხვა საქმეც მაქვს – постоянный двор-ის მოწყობა მინდა, რაც ჩემი ჩამოსვლის შემდეგ დავიწყეთ, კრამიტის საწარმო, რომელიც ნელა, მაგრამ მაინც მუშაობს, აგურის წარმოება, რომელიც ცოტა მოიკოჭლებს, და ბოლოს, სახლის მშენებლობა, რაც დამაკმაყოფილებლად მიდის. მალე გადახურვაზე მოგვიწევს ფიქრი. ბოსტანი არხის წყალობით ძალიან კარგია. ძალიან კმაყოფილი ვარ, ეს არხი რომ გაიყვანე. მის გარეშე მთელი ნათესები დაილუპებოდა. გარეული და ვენახის ხეხილი კარგ მოსავალს გვპირდება. კაკალსაც კარგად ასხია როგორც ზემო, ისე ქვემო ბაღში. მაგრამ ახალ ხილის ბაღსა და სახლის ირგვლივ ცუდი მოსავალია, არც კი ვიცი, რატომ. ისე რომ, კარგი და ცუდი

⁵ 1850 წლის №11 წერილი.

⁶ 1850 წლის №8 წერილი.

⁷ 1850 წლის №15 წერილი.

მუდამ გვერდიგვერდ არიან. ღვთის ბოძებულით უნდა დაგკმაყოფილდეთ და იმედი არ უნდა დაგკარგოთ. ფიზიკურად ძალიან ბევრს ვმუშაობ. მთელი დღე ხან ცხენით, ხან ფეხით დავეხეტები და რადგან კარავში ვცხოვრობ, მეშინოდა, რომ ისევ სიცხეები მექნებოდა, მაგრამ ამ ექვს დღეში საოცრად გამოვკეთდი, ღონე და ხალისი მომემატა, მკვდარივით მძინავს და საჭმელი რომ მქონდეს, ალბათ, მეტსაც ვჭამდი. მაგრამ ეს საქმის სუსტი მხარეა. როგორც ვითარებას შეეფერება, ისე უნდა იცხოვრო, რაც, სხვათა შორის, ძალიანაც კარგია, რადგან ზაფხულში ბევრი ჭამა არ ვარგა. გაზაფხულიდან აქ ერთი რუსი ქალი მყავს, რომელიც საჭმელს მიმზადებს, რასაც თავის დროზე შევექცევი. დილა-საღამოს კი ჩაის ვსვამ. ამიტომ თავს მსუბუქად ვგრძნობ. რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ქინაქინას მაინც ვიღებ. როგორც ზემოთ გითხარი, ხვალ ნაშუადღევს გავარვარებულ ტიფლისში მივდივარ. თუმცა, იქ რაც შეიძლება ცოტა ხანს დავრჩები და მერე, როგორც სიმღერაშია ნათქვამი, კახეთში მივფრინავ. შენ, ცივი და გრძნობებს მოკლებული კაცი, ვერ გაიგებ, რამხელა სიამოვნებაა ცოლთან წასვლა. იქ 10 აგვისტომდე დავრჩები. მერე აქ დაგბრუნდები ...“.⁸

1851 წლის სექტემბრის ბოლოს ბარონ ნიკოლაი წერს, რომ კვირაში ორჯერ დადის ბეთანიაში, რომ სახურავზე კრამიტს აწყობენ, ნოემბერში კი – სახურავი ბოლომდე მიყვანილი არაა, მაგრამ თითქმის დამთავრებულია. როგორც წერილებიდან ჩანს, სახლის მშენებლობა 1854 წლის ზაფხულისთვის დამთავრებულია: „... ავეჯს უკვე ვგზავნი ბეთანიაში, ორი კვირაა იატაკს აგებენ და, იმედია, 1 ან 6 ივლისს საბოლოოდ გადავბარგდები...“ (18 ივნისი, 1854 წელი).⁹ „... ხუთშაბათს ბეთანიაში დავბრუნდები და რამდენ ხანსაც შევძლებ, იქ დავრჩები. სახლი დასრულებულია და წინ გაშენებული ყვავილნარი ძალიან უხდება; მშვენიერ ბუნებაში და ჩემს ქმნილებასთან მარტო ყოფნა სულაც არ მაწუხებს, ამიტომ, რამდენ ხანსაც მოვახერხებ, იმდენ ხანს დავრჩები...“ (ტიფლისი, 15 აგვისტო 1854).¹⁰ „... აგერ, მთელი კვირაა აქა ვარ და ქალაქში არ ჩავსულვარ და, მართალია, საშინელი ამინდია, განსაკუთრებით კი გუშინწინ, ქალაქში წასვლის არავითარი სურვილი არა მაქვს. ეს სიწყნარე და მარტობა მსიამოვნებს. ახლა ეგორჩიკია აქ, ლაპარაკს რომ არ გადავეჩვიო, და სხვა არაფერი მჭირდება. ვნებივრობ ჩემს სახლში, რომელიც მართლაც მშვენიერია, და თითქმის კმაყოფილიცა ვარ, აქამდე რომ არ გინახავს. სახლის ზემოთ, ბაღში, ბევრი

⁸ 1851 წლის №25 წერილი.

⁹ 1854 წლის №38 წერილი.

¹⁰ 1854 წლის №56 წერილი.

ყვავილი მაქვს, მათ შორის იაჟუჟუნა, რომლის თესლიც შარშან ჩამოვიტანე მონრეპოდან. ხეხილიც ბევრი მაქვს. სამწუხაროდ, ცივი და ნესტიანი ამინდი მის დამწიფებას აგვიანებს და ვშიშობ, საშემოდგომო ხილმა ეგებ დამწიფებაც ვერ მოასწროს. ისე კი, მოსავალს კარგი პირი უჩანს. წეროების გადაფრენა მაშფოთებს, ასე ადრე არასოდეს ბრუნდებოდნენ, ეს კი ცივი და ნაადრევი ზამთრის ნიშანია ...“ (ბეთანია, 26 აგვისტო, 1854).¹¹

ძმა ჩრდილოეთ კავკასიიდან უგზავნიდა ბარონ ნიკოლაის როგორც ნერგებს, ისე სოფლის მეურნეობისთვის საჭირო იარაღებს: „... დიდ მადლობას გიხდი ნერგებისთვის, ბეთანიას ნამდვილად დაამშვენებს. ჯერ არ მიმიღია. იმედია, მანანა გამონაკლისს გააკეთებს და არ მომპარავს. მინდა მალე მივიღო, რადგან მათი დარგვის დროა. ოთხი დღეა წვიმამ გადაიღო, მშვენიერი ამინდია და დათბა კიდევ. [...] ხვალ ბეთანიაში წასვლას ვაპირებ და, ალბათ, ხუთშაბათ-პარასკევამდე დავრჩები...“ (ტიფლისი, 8 აპრილი, 1850).¹² „... მადლობელი ვარ ინსტრუმენტების შეძენისთვის, რომლებიც წინა ფოსტით არ ჩამოსულა. ალბათ, შემდეგით ჩამოვა. რადგან ფასს მწერ, როგორც მიხვდით, 20 რუბ. უნდა გადაგიხადო. ისე, არ ვიჩქარებ, რადგან ახლა შენ საკმაოდ მდიდარი ხარ და ეგებ, რომ დაფიქრდები, ხელგაშლილობის გამოჩენაც მოგინდეს. ეს შენ ღირსებას შეგმატებს და მე არ გამიკვირდება“ (ტიფლისი, 30 ივნისი, 1851).¹³ „... ჩემი ბოლო წერილის შემდეგ მივიღე მაკრატელი, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ. მან ჩემი კოლექცია შეავსო...“ (ტიფლისი, 27 სექტემბერი, 1851).¹⁴ ასევე, გრაფმა ვორონცოვმა ყირიმიდან გამოუგზავნა ხეხილის ნერგები: „... ბოსტანში თითქმის არაფერია. როგორც ჩანს, გერმანელს, თუმცა პატიოსანი კაცი კია, ამ საქმისა არა გაეგება-რა და ყველაფერს ვიღონებ, ამ საქმეს რომ ჩამოვაშორო [...]. ვაზს ბევრი ასხია და კარგი მოსავალი იქნება. ყველაზე მეტად კი ხეხილის ნამყენები მახარებს. უფრო სწორად, прививки და არა колировки, რადგან პირველი მათგანი ჩემი წასვლიდან მალევე გაფუჭდა და მხოლოდ 200 ძირი ვაშლი და მსხალი დაამყნეს. სამაგიეროდ, 700-მდე საუკეთესო ჯიშის ქლიავია და 215 ძირი ატამი. უთხარი ეს გრაფ ვ[ორონცოვს], ესიამოვნება. ისიც უთხარი, რომ არც ერთი კალამი არ დაზიანებულა და ყირიმიდან მიღებულმა ყველა ნერგმა გაიხარა. ტიფლისის ფერმაში ზოგმა არ იხარა, მაგრამ არც ისე ბევრმა. [...] წელს თუ ვიზარალებ, შემიძლია ავიტანო, ოღონდ მომავალში ნუ განმეორდება. დღეს [...]ს ველოდები, постоянный двор-ის ადგილი რომ

¹¹ 1854 წლის №60 წერილი.

¹² 1850 წლის №5 წერილი.

¹³ 1851 წლის №15 წერილი.

¹⁴ 1851 წლის №33 წერილი.

შევარჩიოთ. თუ შემთხვევა მოგეცემა, გენ. კოცებუს ჰკითხე, წამოსვლისას დამავიწყდა მეკითხა, მქონდეს თუ არა მისი დახმარების იმედი, თავად იცის რისაც, постоянный двор-ისთვის. უნდა ვიცოდე, რადგან თუ მომცემენ, თბილი ადგილი უნდა გამოვნახო, თუ არა და, ამაზე თავს არ შევიწყუებ. აქ ორშაბათ საღამომდე დავრჩები და ოთხშაბათ საღამოს ბორჯომში წავალ...” (ბეთანია, 14 ივლისი, 1850).¹⁵ „ტიფლისის ფერმაში“, სავარაუდოდ, იგულისხმება ბაღი, რომელიც ვერაზე 800 ოქროდ შეუძენია (ტიფლისი, 8 აპრილი, 1850).¹⁶

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მაღალი თანამდებობისა და, სავარაუდოდ, შესაბამისი ანაზღაურებისა, ბარონი ალ. ნიკოლაი მუდმივად ვალეებში ცხოვრობდა. ფულს სესხულობდა ბანკიდან, ძმებისგან, განსაკუთრებით, ჩეჩნეთში მეომარ გენერალ ლეონტი ნიკოლაისგან, მამისგან, გენ. კოცებუსგან და მთავარმართებელ გრაფ ვორონცოვისგანაც კი. „... დიდი მადლობა, ძვირფასო მეგობარო, ფულთან დაკავშირებული შემოთავაზებისთვის. ყოველ შემთხვევაში მინდა, რომ წელს შენი პროცენტები აიღო, თუმცა, ფული დამჭირდება, რადგან ახლა გრაფი ვ[ორონცოვისგან] ვსესხულობ და არ მინდა, მისი მოვალე ვიყო. ფულს ქარს არ ვატან, მაგრამ არ შეიძლება, მიწა არ დავამუშავო და პირველ მოსავლამდე ფულის ჩადებაა საჭირო. ვაღიარებ, რომ მცოდნოდა, ბეთანიის სახლის მშენებლობას არ წამოვიწყებდი, მაგრამ რადგან დავიწყე, უნდა დავასრულო კიდევ, თორემ მასში ჩადებული ფული წყალში გადაყრილი იქნება. თანაც, ზაფხულში წასასვლელი უნდა გქონდეს. ჰოდა, ეს ერთადერთი გზაა, რამე რომ მოახერხო და რაღაც დროს იქ ცხოვრება შეიძლებოდეს...” (ტიფლისი, 19 თებერვალი, 1851).¹⁷

როგორც მეურნე ადამიანი, მუდმივად დაინტერესებული იყო და წერდა ამინდზე, გვალვასა თუ უხვ ნალექზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ხეხილისა თუ ბოსტნეულის, ასევე, თივის მოსავლისათვის: „... გადაუღებლად წვიმს და, ალბათ, ჩემი თივა სასუქად იქცევა. საშინელებაა, ზოგჯერ ტირილი მინდება. არასოდეს მქონია თივის ასეთი მოსავალი და მისი აღების არავითარი საშუალება არაა. 11 დღეა გადაუღებლად წვიმს. 6 ზვინი, რომელთა დადგმაც მოვასწარი, ისე ცუდად გააკეთეს, რომ შიგ წვიმამ გაატანა და დაშლა დაგვჭირდა. აქედან დაიწყო მთელი უბედურება. შეიძლება ვერაფერი ავიღოთ და ცხენებისთვის თივა საყიდელი შეგვექნეს. თუ ასე იქნა, 1000 ოქროს რუბ. დავკარგავ და ვშიშობ, რომ ასეც იქნება,

¹⁵ 1850 წლის №8 წერილი.

¹⁶ 1850 წლის №5 წერილი.

¹⁷ 1851 წლის №10 წერილი.

რადგან სამი დღეა ახალი მთვარეა და უფრო მეტადაც წვიმს, ნამდვილი უბედურებაა...“ (ტიფლისი, 2 ივლისი, 1854);¹⁸ „... შაბათიდან აქ ნესტიანი და ცივი ამინდია, რაც თიბვისთვის არ ვარგა. დღეს, როგორც იქნა, მზე გამოვიდა. ნეტავ ასე გაგრძელდეს, რადგან ძალიან მჭირდება...“ (ბეთანია, 29 ივნისი, 1855);¹⁹ „... ხშირად წვიმს და თიბვას ხელს უშლის, რაც ცოტა არ იყოს, მაწუხებს. სამი დღე კარგი ამინდი მჭირდება, თიბვა რომ დავამთავრო. თივის მოსავალი წელს საკმაოდ მწირია. ისე, ღმერთის მადლობელი ვარ, რადგან ჩემს საჭიროებას ეყოფა, სხვაგან ვერაფერი აიღეს...“ (ბეთანია, 7 ივლისი, 1855);²⁰ „... ტიფლისში საშინელი სიცხეა, ასეთი სიცხე ბოლო 15 წლის მანძილზე არ ახსოვთ. რა ბედნიერებაა, რომ იქ არა ვარ. დღისით აქაც ძალიან ცხელა, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ასატანი სიცხეა, საღამოს და ღამით გრილა. გვალვა კი ძალიან უსიამოვნოა, უკვე სერიოზულად შევწუხდი, მაგრამ წუხელ მაგრად გაწვიმდა, ცოტა ააგრილა და მიწაც დაასველა. განსაკუთრებით ჩემი ყვავილების ბედი მაწუხებდა, რადგან მცირეოდენი წყლით, რაც აქა გვაქვს, ძნელია მათი გვალვისაგან დაცვა...“ (ბეთანია, 14 ივლისი, 1855);²¹ „... ათიოდე დღეა სიცხემ შეგვაწუხა. დახუთული ჰაერია, თუმცა, დროდადრო მაინც წვიმს. ჯერჯერობით მოსავალს კარგი პირი უჩანს, ვენახსაც. მაგრამ, რადგან ვაზი ივლისში ავადდება, ჯერ ვერაფერს იტყვი. იმედი ვიქონიოთ, რომ გადავრჩებით, რადგან ვენახს აქ დიდი მნიშვნელობა აქვს...“ (ტიფლისი, 18 მაისი, 1856);²² „... უკვე ერთი კვირაა აქ ისეთივე ტროპიკული სიცხე და გვალვაა, როგორც საჰარაში. აქაც ძალიან ცხელა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა ხდება ტიფლისში. [...] ეს გვალვა ძალიან ცუდია ხეხილისთვის, არ იზრდება და, გამხმარი, ხეებიდან ცვივა. მეგონა, მთვარე შეიცვლება და გაწვიმდება-მეთქი, მაგრამ ღრუბელიც არ გამოჩენილა ჰორიზონტზე და, ალბათ, ორი კვირა კიდევ ასე იქნება...“ (ბეთანია, 22 ივლისი, 1856).²³

საინტერესოა ცნობა მიწისძვრის შესახებ 1859 წლის 5 ივლისის წერილიდან: „... 30 ივნისიდან 1 ივლისს ღამით მიწისძვრა ყოფილა. ისე, მე არაფერი გამიგია, სოფიომ მითხრა დილით. ამბობს, ძლიერი ბიძგი იყო. საბედნიეროდ, ცუდი არაფერი მოჰყოლია...“ (ბეთანია, 5 ივლისი, 1859).²⁴

¹⁸ 1854 წლის №41 წერილი.

¹⁹ 1855 წლის №27 წერილი.

²⁰ 1855 წლის №29 წერილი.

²¹ 1855 წლის №24 წერილი.

²² 1856 წლის №28 წერილი.

²³ 1856 წლის №34 წერილი.

²⁴ 1859 წლის №3 წერილი.

როგორც ჩანს, ბარონი ნიკოლაი მიღებული მოსავლის ნაწილს ჰყიდდა და განსაკუთრებით შეწუხებული იყო 1855 წლის ზაფხულის გვალვით, რომელმაც მოსავალი, რომლის დიდი იმედიც ჰქონდა, გაუნადგურა: „... აქედან მოსაწერი არაფერი მაქვს, ყველაფერი რიგზეა, თუ არ ჩავთვლით გვალვას, რომელმაც შეგვაწუხა და ბეთანიის შემოსავალს დიდი დარტყმა მიაყენა. კარგა ხანია იცი, რომ ხილი არ მოსულა, მაგრამ ბოსტანი, რომლის დიდი იმედიც მქონდა და კარგადაც მოვაწყე, ასევე გამიცრუებს იმედს. განსაკუთრებით, ყვავილოვანი კომბოსტო, რომელიც 1500 თავი დავრგე და თითოს 30 ოქროს კაპიკად ვაყიდვას ვაპირებდი, რაც 450 ოქროს რუბ. მომცემდა. ხილი თითქმის სულ განადგურდა. ყვავილოვანი კომბოსტოთი და ხილით 900-1000 ოქროს რუბ. უნდა ამელო, აშკარა ზარალში ვარ, რაც ჩემთვის უმნიშვნელო როდია ზოგადადაც და განსაკუთრებით ახლა, როცა ფინანსური საქმეები მთლად რიგზე ვერა მაქვს...“ (ბეთანია, 24 ივლისი, 1855);²⁵ „... ჩვენთან ყველაფერი ძველებურად, ნელ-ნელა მიდის; საშინელი ქარები იყო და ციოდა; სამი დღეა ზაფხულივითაა...“ (ბეთანია, 5 ივლისი, 1859);²⁶ „... გუშინ ბეთანიაში ვიყავი და პირველი სართულის ხუთ ოთახსა და ზემოთ დაწყობილი ზამთრის ხილი ვნახე. საკმაოდ კარგად გამოიყურება. ნეტავ კარგად გაიყიდოს [...]. სურსათი სულ ძვირდება და ძვირდება, საშინელებაა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ყოველ შემთხვევაში, თბილისელთა ჯიბისთვის. არ ვიცი, რით დამთავრდება ყოველივე ეს. მოსავალი კარგი იყო და შიმშილის საფრთხე არ უნდა გვემუქებოდეს. მთავრობა მხრებს იჩეჩავს, უკვირს, კამათობს, მაგრამ არავინ იცის, რა უნდა გააკეთოს, რადგან ეს არაბუნებრივი სიძვირე ხელოვნურადაა გამოწვეული სომხების მიერ, რომლებიც ფრანკ-მასონებისგან ჩაკეტილ საზოგადოებებს ქმნიან. ხალხს უხარია ბარ[იატინსკის] ჩამოსვლა, იმედოვნებენ, რომ ბოლოს მოუღებს ამ სიძვირეს...“ (ტიფლისი, 29 ოქტომბერი, 1856).²⁷

ზაფხულობით, როცა ოჯახი ბეთანიაში ჩადიოდა, სტუმრები არ აკლდათ. ძირითადად, ესენი იყვნენ მაღალჩინოსანი რუსი მოხელეები მთავარმართებლის ჩათვლით, რომლებიც მანგლისში ან კოჯორში ისვენებდნენ. ბარონი ალ. ნიკოლაიც საპასუხო ვიზიტით სტუმრობდა ხოლმე მათ, ერთად სადილობდნენ, საუბრობდნენ, თამაშობდნენ ჭადრაკს. ბეთანიაში საკმაოდ ხშირად ჩადიოდა სოფიოს რძალი, დავით ჭავჭავაძის მეუღლე ანა ილიას ასული ბაგრატიონი (გრუზინსკი) ბავშვებითურთ,

²⁵ 1855 წლის №33 წერილი.

²⁶ 1859 წლის №3 წერილი.

²⁷ 1856 წლის №50 წერილი.

შედარებით იშვიათად, ნინო ჭავჭავაძე, თავად ანდრონიკოვის ქალიშვილები, ქ-ნი შერვაშიძე და სხვები: „... შემატყობინე, გრიგოლი როდის მიდის ბეთანიაში და რა ამბებია იქ. ხანიკოვს უთხარი, თუ უნდა, რომ ამ სიცხეში ბეთანიაში წავიდეს, მხოლოდ მესიამოვნება, თან დეიდამისიც იქაა და ამას ადვილად მოახერხებს...“ (დედოფლისწყარო, 13 მარტი, 1850);²⁸ „... ექვსი კვირით მარტოხელა კაცის ცხოვრებას დაგუბრუნდები. ამ პერიოდში ხშირად მომიწევს მარტო ყოფნა, მაგრამ კოჯორში იქნებიან ხანიკოვი, დიუკრო, გაგარინები, სხვანი და სხვანი და ნაშუადღევს ცხენით გავისეირნებ...“ (ბორჯომი, 8 ივლისი, 1851);²⁹ „... ანდრონიკოვის ქალიშვილებს [...] შევთავაზეთ ზაფხული ჩვენთან გაატარონ, მაგრამ ჯერ მამის ნებართვას ელიან. ძალიან მინდა, რომ დათანხმდეს, რადგან სოფიოსთვის ეს ძალიან კარგი იქნება, თორემ სულ მარტობა მოუწევს...“ (ტიფლისი, 18 ივნისი, 1854);³⁰ „... არ ვიცი მოგწერე თუ არა, რომ ანდრონიკოვის ქალიშვილები ბეთანიაში დავპატიჟეთ, რადგან ძალიან დაცხა. ჩვენს წინადადებას მამა დაეთანხმა, მაგრამ ჯერ არ ჩამოსულან...“ (ტიფლისი, 2 ივლისი, 1854);³¹ „... ჯერ არ ვიცით როდის წავალთ ბეთანიაში, ალბათ, 3-4 კვირაში. ბებიაქალმა თქვა, ნუ იჩქარებთო. ნინა ალ[ექსანდროვნა], ალბათ, არ წამოვა, მოსკოვში აპირებს წასვლას თავის და, დადიანთან ერთად, ანა ილინიშნა კი ბავშვებიანად აპირებს ჩვენთან ჩამოსვლას, ყველაფერში მომეხმარება. მიხარია, სოფიო მარტო არ იქნება და თან, გარდა იმისა, რომ ჩვენთან იცხოვრებენ, თუ წინანდალში ისინი მიწევდნენ მასპინძლობას, ახლა მე გუმასპინძლებ. დავითი ჯერაც აქაა და, მგონი, ზევ მიდის...“ (ტიფლისი, 25 მაისი, 1856);³² „... შენი წასვლის შემდეგ ჩვენთან ახალი არაფერია. ჯანმრთელად ვართ, მხოლოდ ანა ილინიშნა უჩივის სისუსტეს, მაგრამ, მის მდგომარეობაში მუდამ ასეა. გუშინწინ გადავწყვიტე და მანგლისში დღესასწაულზე წავედი. არ ვნანობ, სინდისი მშვიდად მაქვს, ეს ადგილები რომ მოვიწახულებ. ბ-ნ [...] ძალიან ეწყინა, რომ ვერ დაესწარი დღესასწაულს, რომელიც ნაძვანარში აღმართულ პავილიონში მოწყობილი საოცარი სადილისგან შედგებოდა. საღამოს შესანიშნავი ფეიერვერკი მოაწყვეს. მთავარმართებელიც ესწრებოდა. დიდი პატივი მიაგეს და კარგ ხასიათზე იყო. მერი ვასილევნა მანგლისშია და დიასახლისის როლს ასრულებს. მე ეს

²⁸ 1850 წლის №4 წერილი.

²⁹ 1851 წლის №25 წერილი.

³⁰ 1854 წლის №38 წერილი.

³¹ 1854 წლის №41 წერილი.

³² 1856 წლის №29 წერილი.

როლი გამომადგა, შესანიშნავი თავშესაფარი მქონდა. მანგლისი დილის 5 საათზე დავტოვე და 10 საათზე შინ ვიყავი. თუმცა გზაში 5 საათი გავატარე, გრძელი არ მომჩვენებია, რადგან ძალიან ლამაზია. გენ. მურავიევიც დაბრუნდა, ოღონდ, კოჯორში. გზად, გენ. ბებუტოვთან ერთად გვესტუმრა და ჩვენთან ისაძილეს. როგორც ჩანს, ბეთანია მოეწონა. სასაუბროდ განეწყო და ძალიან თავაზიანი იყო. თეთრ დუქნამდე ცხენით გავაცილე და დავპირდი, რომ დროდადრო ვეწვეოდი მანგლისში...“ (ბეთანია, 1 ივლისი, 1856);³³ „... მუხრანსკის გადაეცი, რომ ქ-ნ შერვაშიძესთან ერთად ველით. დაგპირდა, რომ ამ დღეებში მას წამოყვებოდა...“ (ბეთანია, 18 ივნისი, საღამო, წლის მიუთითებლად); „... იძულებული ვარ, ნაუცბათევად მოვწერო, რადგან სახლი სტუმრებითაა სავსე. აქ არიან ბულგაკოვი და [...], ბ-ნი კოლუბიაკინი და ქ-ნი [...] წუთი-წუთზე მოვლენ [...]. ახლა დროა ჩემს მოვალეობას დავუბრუნდე და ვასრულებ ცნობით ბეთანიაზე: აქ ყველა კარგადაა. სოფიო და მე გეხვევით, კოლია და ნინოჩკაც. ჭავჭავაძის ქალები მოკითხვას ვითვლიან. გუშინ თავიანთი ძმის წერილი მიიღეს და მადლობას გიხდნან, რომ მოაწერინე...“ (ბეთანია, 15 ივლისი, 1856);³⁴ „... გუშინ ღვთის ნაბოძებით ვისაძილე ჩემს მეგობარ გენ. მ[ურავიევთან]. ამ პილიგრიმობას დღეგამოშვებით ვეწვევი ურთიერთობის შესანარჩუნებლად და ნასაძილევს ჭადრაკს ვთამაშობთ. [...] ახალი არაფერია, რომ გაცნობო. ჩვენს სოფლურ ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა. ბავშვები ძველებურად ხმაურობენ, უფროსები ძველებურზე ნაკლებს...“ (ბეთანია, 22 ივლისი, 1856).³⁵

საინტერესოა ფრაგმენტი ნინო ჭავჭავაძის წერილიდან გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელშიც მოუთხრობს ბეთანიაში სტუმრობის შესახებ: „... თუმცა დავბერდი, მაგრამ მაინც ტფილისის ჳორებს და სიცხეებს გამოვექეცე. ეს ხუთი კვირაა, რაც აქ, ბეთანიას გახლავარ ჩემი სიძის, ბარონის სოფელში, სადაც მოსვენებულ და მომყუდროებულ ცხოვრებას ვატარებ. საუცხოო მდებარეობა ჳქონია, გრილი ჳავა. მე დიდად მომიხდა ეს სოფელი. ციებამ სრულად თავი მანება. სახლი და ბაღიც მოსაწონია. ერთის სიტყვით, მთლად, თავისი პატარა ხაზაიკით, რომელიც რაც შეიძლება ცდილობს სტარუხის დის მოსვენებას და სიამოვნებას...“³⁶

1886 წლის 13 ივნისის გაზეთ „ივერიის“ ცნობით ბარონი ალ. ნიკოლაი

³³ 1856 წლის №31 წერილი.

³⁴ 1856 წლის №33 წერილი.

³⁵ 1856 წლის №34 წერილი.

³⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საბუთი Sd n.1874; იხ. იაკობ ბალახაშვილი, გრიბოდოვი და ნინო ჭავჭავაძე, თბილისი, 1966, გვ. 259

ჯერ კიდევ ფლობდა მამულს ბეთანიაში. ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია მას შემდეგ წლებში. შესაძლოა, შემდგომი წლების ალ. ნიკოლაის არქივის დამუშავებამ შუქი მოჰფინოს ამ საკითხს. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, მოგვიანებით ამ სახლში სოფ. ბეთანიის ბიბლიოთეკა ყოფილა განთავსებული, XX საუკუნის 70-80-იან წლებში კი სახლი დაუნგრევიათ და სპორტული კომპლექსის საშენ მასალად გამოუყენებიათ. დღემდე შემორჩენილია ამ სახლისკენ მიმავალი კიპარისების ხეივანი და დამხმარე ნაგებობის ნაშთი. ამ ადგილს მოსახლეობა დღესაც „ბარონის მამულს“ ეძახის.

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
tsissana@hotmail.com

Tsisana Bibileishvili

THE HOUSE IN BETHANIA

(BASED ON THE LETTERS OF BARON AL. NIKOLAI)

The K. Kekelidze National Center of Georgian Manuscripts holds the personal archive of Baron Alexander Pavlovich Nikolai (1821-1899), a Russian statesman of French-Swedish descent. Among these materials are several hundred French-language letters addressed to his brother, Leonty Nikolai. Approximately 300 of these letters, dating from 1849 to 1862, have been translated and studied, revealing fascinating insights into the history of Georgia and beyond.

This article explores the history of Baron Alexander Nikolai's house in Bethania as recounted in his letters. These correspondences shed light on the daily life, routines, and notable aspects of Georgian high aristocracy during the mid-19th century, offering a vivid glimpse into their world.